თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1949331

ნომერი: AR1316413

თარიღი : 08.06.2015

გაცემის თარიღი : 11.06.2015

გაცნობის თარიღი : 11.06.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მუჯირი პ/ნ 01030007304
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 54

ორგანიზაცია:
- სააქციო საზოგადოება "ქაშანური" კოდი: 206048819

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

როგორც მოთხოვნის ტექსტში აღნიშნავთ სამსახურის მიერ 07.04.2015წ. №1807017 გადაწყვეტილებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სადაც მოთხოვნილი გქონდათ არსებული შენობების დემონტაჟი და ახალი შენობის მშენებლობა. ვინაიდან ამჟამად ითხოვთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ნუმერაციების ჩაწერას, გაცნობებთ, რომ ამჟამად არასწორად გაქვთ საკითხი გაყენებული. საკითხი უნდა დააყენოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების თაობაზე.

აქვე განგიმარტავთ: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება), II სტადია – არქიტექტურულ–სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება), III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. თითოეულ სტადიაზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. შესაბამისად, მხოლოდ პირველი სტადიის გავლა, არ წარმოადგენს მშენებლობის/დემონტაჟის დაწყების საფუძველს.

ამასთანავე თქვენს მიერ შეტყობინებით გადმოგზავნილ ტექსტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სადემონტაჟო შენობები თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის შენობა–ნაგებობებს და დემონტაჟის შემთხვევაშიც საჭიროებს დემონტაჟის ნებართვის გაცემას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.